საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამყრელიძე რევაზ ვალერიანის ძე

გამყრელიძე რევაზ ვალერიანის ძე (4. II. 1927, ქუთაისი), მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1981). რუსეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (2003), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962). სწავლობდა თსუ-ში. დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი (1950). 1953-იდან მუშაობდა რუს. მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში. 1988-იდან იყო ამ ინ-ტის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა განყ-ბის გამგე. 1961-იდან – რუსეთის რეფერატული ჟურნ. „მატემატიკის“ მთავარი რედაქტორი და რუსეთის მეცნ. და ტექ. ინფორმაციის ინ-ტის მათ. განყ-ბის ხელმძღვანელი. 1968-იდან – თსუ-ის მართვის თეორ. კათედრის გამგე. მისი ძირითადი შრომები ეხება ტოპოლოგიის, დიფერენც. განტოლებათა, ავტომ. მართვის და ოპტიმალურ პროცესთა თეორ. საკითხებს და სხვ. გამოთვალა კომპლექსურ ალგებრულ მრავალსახეობათა მახასიათებელი კლასები, ე. წ. ჩერნის ციკლები. გ-მ პირველმა მათემატიკურად დააფუძნა მაქსიმუმის პრინციპი წრფივი სწრაფქმედი ოპტიმალური სისტემებისათვის, გამოიკვლია შემოსაზღვრული ფაზურკოორდინატებიანი ოპტიმალური პროცესები, შემოიღო მცოცავი ოპტიმალური რეჟიმის ცნება და კვაზიამოზნექილი სიმრავლის ცნება წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეში, რ-თა დახმარებით შეიქმნა ექსტრემალურ ამოცანათა ზოგადი თეორია (ლენინური პრემია, 1962, ლ. პონტრიაგინთან, ვ. ბოლტიანსკისა და ე. მიშჩენკოსთან ერთად; ა. რაზმაძის სახ. პრემია, 1980).

თხზ.: Математическая теория оптимальных процессов, [3 изд.], М., 1976 (თანაავტ.); Основы оптимального управления, 2 изд. Тб., 1977.

ლიტ.: ე ბ ა ნ ო ი ძ ე თ., რ. გამყრელიძის დაბადების 60 წლისთავის გამო, «მეცნიერება და ტექნიკა», 1987, № 2.